ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№29

ქ. თბილისი; 11 სექტემბერი, **2018** წ. **11:00** სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი (თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი)
ავთანდილ ცინცაძე
ქეთევან მამულაშვილი
ლილე ლიპარტელიანი
ელენე ოზაშვილი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებელი - ბექა მიქაუტაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი - გელა ჩივიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი - ალექსანდრე ტოგონიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი - ეკატერინე მაღლარაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსი - ქვარა ჩართოლანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი - **მირანდა ბერძენიშვილი**

სხდომის თავმჯდომარე:

**თინათინ ნიბლოშვილი**
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

დღის წესრიგი:

1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის №12-29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

3. “დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

4. “ქალაქ თბილისში, სოფელ ნასაგურში, ნაძვების ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.14.373.01.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზეთანხმობის მიცემის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

5. “ქალაქ თბილისში, გმირ კურსანტთა ქუჩის I შესახვევი N20-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ N01.11.05.011.374 ) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

6. “ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, მე-3 მიკრორაიონის კორპუს 10ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.004.043) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

7. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: N01.16.05.032.024) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნოდარ სამხარაძისთვის (პ/ნ 01024006992) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

8. “ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: N01.16.05.032.024) 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნინო სეხნიაშვილისთვის (პ/ნ: 01006000972) სარგებლობის უფლებით

იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

9. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: N01.16.05.032.024) 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იულია იორდანიშვილისთვის (პ/ნ 01010000361) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: N01.16.05.032.024) 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ზუხრა ტატიშვილისთვის (პ/ნ 01030001988) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

11. "ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №28-32-ის მიმდებარედ არსებული 2398 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.10.15.012.026) 47 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ელისთვის" (ს/კ 405243927) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. "ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №112-126-ის მიმდებარედ არსებული 804 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.13.08.008.033) 9 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნასიმისთვის" (ს/კ 405086507) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. "ქალაქ თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე რეგისტრირებული 536 კვ.მ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.18.03.061.039) 18 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ჯულიეტა ნატროშვილისთვის (პ/ნ 01011024753) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: N01.16.05.027.029) 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ა.ლორდისთვის" (ს/კ 404521111) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთნხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალტიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. „ქალაქ თბილისში,გორგასლის ქუჩა N7-ის მიმდებარედ 221 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N 01.18.03.062.008) 11 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გალენისთვის" (ს/კ 404497665) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

16. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული 21 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.16.05.032.019) 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გეორგიოს ყავასთვის“ (ს/კ 402072047) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

17. „ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. N7-ის მიმდებარედ არსებული 23 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ:N01.10.14.012.029) პირდაპირი განკარგვის წესით ვახტანგ კანდელაკისთვის (პ/ნ: 01026004919) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. „ქალაქ თბილისში, აბანოს ქ. N17-ის მიმდებარედ არსებული 31 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ:N01.18.03.063.054) პირდაპირი განკარგვის წესით ვახტანგ კანდელაკისთვის (პ/ნ: 01026004919) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

19. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს ქ. N1-ში მდებარე 124 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ:N01.10.13.021.041) პირდაპირი განკარგვის წესით ტრისტან ღარიბაშვილისთვის (პ/ნ: 01024038167) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

20. „საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი საპრივატიზებო საფასურით N01.18.03.005.025 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების პირობებიანი აუქციონით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

**1.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა - **მირანდა ბერძენიშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**მომხსენებლის განმარტებით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულის შედეგად, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს“ სახელწოდებად განისაზღვრა - „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო“ და აღნიშნულმა საკითხმა დღის წესრიგში დააყენა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და ქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილებაში რიგი ცვლილებების ასახვის აუცილებლობა, კერძოდ:**

- დადგენილების სათაურში, დადგენილების პირველ პუნქტში, დადგენილებით დამტკიცებული დებულების სათაურში, დებულების პირველი მუხლის პირველ პუნქტში, დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში, დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში და მე-2 მუხლის მე-7 პუნქტში ნაცვლად - **„საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო“-ს სახელწოდებისა, მიეთითება - „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო“;**

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების **პრეამბულადან ხდება ერთ-ერთი საფუძვლის** - ,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე’’ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №91 განკარგულებით დამტკიცებული **ადმინისტრაციული ხელშეკრულების ამოღება,** პროექტის სამართლებრივი საფუძვლების „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს **კანონის შესაბამის მუხლებთან თანხვედრაში მოყვანის მიზნით.**

- ახალი რედაქციით ყალიბდება დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი და **ნაცვლად** - კომპეტენციის ფარგლებში, ,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე’’ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების“, მიეთითება - **„დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელება.**

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ქალბატონმა თინათინ ნიბლობლოშვილმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა დადგენილების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებელმა ზექა მიქაუტაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის №12-29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბატონმა ზექა მიქაუტაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობა, რაიონის მასშტაბით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროცესებში მუდამ აქტიურად არის ჩართული, ვინაიდან, ჯანსაღი სამოქალაქო თანაცხოვრებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ამხანაგობათა სრულყოფილად განვითარება და მოსახლეობაში სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლება.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მიზნად ისახავს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის №12-29 დადგენილებით დამტკიცებული, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის მეტად დახვეწას და ამ მხრივ განხორციელებული საქმიანობის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას, შემდეგი სახით:

- ინფრასტრუქტურული პროექტების სრულყოფილად განხორციელებისა და პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების რაციონალურად და ეფექტურად განკარგვის მიზნით, დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლს

ემატება 3[1] პუნქტი, რომლის მიხედვითაც, **დასაფინანსებელი სამუშაოების ჩამონათვალს დაემატება ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო დეფექტური აქტებისა და ხარჯთაღრიცხვების მომზადების მომსახურების დაფინანსების უფლებამოსილება.** აღნიშნულს გამგეობა განახორციელებს ან სახელმწიფო შესყიდვების საშუალებით ან/და ამხანაგობის მიერ წარმოდგენის გზით.

**მომხსენებლის** განმარტებით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებს გარკვეულ შემთხვევებში არ გააჩნიათ გამგეობის მიერ დასაფინანსებელი, ძვირადღირებული ინფრასტრუქტურული სამუშაოს ღირებულების აუცილებელი სადანახარჯო შენატანის - 10%-ის შეგროვების შესაძლებლობა. იმისათვის, რომ გამგეობებმა შეძლონ დაზიანებული შენობების გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება, მიზანშეწონილია, განხორციელდეს დადგენილებით დამტკიცებულ წესში ცვლილება, რომელიც შეამცირებს დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოს ღირებულების აუცილებელი სადანახარჯო შენატანის ოდენობას, კერძოდ:

- დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-13 **მუხლს ემატება „ბ[1]" ქვეპუნქტი,** რომლის თანახმად, დადგენილებით განსაზღვრული დასაფინანსებელი სამუშაოების ჩამონათვალიდან, შენობის ან/და მისი შემადგენელი ნაწილების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი - **4 სართულამდე შენობის ან/ და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოებისთვის** გამგეობისგან დაფინანსების მისაღებად ამხანაგობამ საკუთარ ანგარიშზე უნდა განათავსოს დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოს ღირებულების აუცილებელი სადანახარჯო შენატანის ოდენობა: **5% - 100 000 ლარამდე და 3% - 100 000 ლარზე მეტი** ღირებულების გამაგრებითი სამუშაოების შემთხვევაში.

**მომხსენებელმა** აგრეთვე დაამატა, რომ საქმისწარმოებისათვის საჭირო ვადების კონტროლისა და პროგრამისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების დროული და პროდუქტიული გამოყენების მიზნით, დადგენილების პროექტით ახალი რედაქციით ყალიბდება დადგენილებით დამტკიცებული წესის **მე-13 მუხლის მე-5 პუნქტი და** საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისთვის აუცილებელი სადანახარჯო შენატანების ამხანაგობის ანგარიშზე ასახვის ვალდებულებასთან ერთად, **განისაზღვრება აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის გამგეობაში წარდგენის ვადა.**

აზრი გამოთქვეს:

**ფრაქციის „ევროპული საქართველო" წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა აღნიშნა,** რომ შესაძლებელია, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებისათვის რთულად შესაგროვებელი იყოს დასაფინანსებელი, ინფრასტრუქტურული სამუშაოს ღირებულების აუცილებელი სადანახარჯო შენატანის დადგენილების პროექტით წარმოდგენილი ოდენობებიც.

ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ასევე, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის მოსაზრებით, მართებულია, დადგენილების პროექტის პირველი მუხლი შეიცვალოს „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის №12-29 დადგენილებით (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 12/02/2018, სარეგისტრაციო კოდი: 330060000.35.101.016476) დამტკიცებულ წესში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:"

ამასთან, ქალბატონი თინათინ ნიბლოშვილი მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის №12-29 დადგენილებით დამტკიცებული წესი, შესაბამისობაში უნდა მოვიდეს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონთან და წესის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს ნაცვლად, რომელიც დღეის მდგომარეობით წარმოადგენს გაუქმებულ უწყებას, უნდა მიეთითოს უფლებამოსილი უწყება. ამასთან, კომისიის განმარტებით, ამავე პუნქტში უნდა მიეთითოს მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ[1]" ქვეპუნქტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის №12-29 დადგენილებით დამტკიცებულ წესთან დაკავშირებით, სხდომაზე გაჟღერებულ აღნიშნულ წინადადებას დაეთანხმა საკითხის წარმომდგენი.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო" წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა თავი შეიკავეს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მითითებული შენიშვნა/წინადადებების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა - ალექსანდრე ტოგონიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის

უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი “დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბატონმა ალექსანდრე ტოგონიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებით დამტკიცებული, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტურ ნაწილის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტს ემატება „დ“ ქვეპუნქტი, რაც ემსახურება დედაქალაქში სწორი ურბანული პოლიტიკის გატარებას.

მომხსენებელის მითითებით, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია, რომელზეც უნდა დამუშავდეს ჩარჩო გეგმები და/ან განისაზღვროს სპეციალური პირობები, დედაქალაქის ერთ-ერთი გაუნაშენიანებელი არეალია, სადაც ბოლო წლების განმავლობაში მკვეთრად გაზრდილია განაშენიანებაზე მოთხოვნა. ასევე დასძინა, რომ აუცილებელია სწორი ქალაქგეგმარებითი მიდგომის ჩამოყალიბება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ტერიტორიაზე ბუნებრივი ლანდშაფტის და ჯანსაღი სარეკრეაციო გარემოს შენარჩუნება, ასევე მშენებლობებისათვის დასაშვები პარამეტრების და პირობების განსაზღვრა და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მიმართ შესაბამისი სტრატეგიის ჩამოყალიბება.

მომხსენებელისვე განმარტებით, დადგენილების დანართი №4-ით განსაზღვრული ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის კომპლექსური კვლევის, მის საფუძველზე ურბანული განვითარების კონცეფციისა და „ჩარჩო გეგმის“ შემუშავებამდე, აღნიშნულ ტერიტორიაზე შეზღუდულია:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნებისმიერი ფორმით განკარგვა;
- განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება;
- დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებასა ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანა;
- “დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებითდამტკიცებულ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმაში ცვლილების შეტანა დადგენილი ფუნქციური ზონების ცვლილების მიზნით;
- მიწის ნაკვეთების ნებისმიერი ფორმით სამშენებლოდ განვითარება (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა, I კლასის შენობა-ნაგებობის მსენებლობაზე წერილობითი დასტურის გაცემა.);

ბატონმა ალექსანდრე ტოგონიძემ აღნიშნა, რომ "დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის არსებული რედაქციის თანახმად,ზემოაღნიშნული შეზღუდვები არ ვრცელდება დანართი №4-ით განსაზღვრულ ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ:

- საცხოვრებელ ზონებზე (სზ), რომლისთვისაც დამუშავებულია „ჩარჩო გეგმა" და რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია განაშენიანების რეგულირებისა (წითელი ხაზ(ებ)ი) და განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები);
- მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გამოყოფილია კოოპერატიული ბინათმშენებლობისთვის;
- მშენებარე შენობა-ნაგებობის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მცირედ კორექტირებაზე ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემაზე ან მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებაზე, რომლის მშენებლობა განხორციელებულია მშენებლობის ნებართვის საფუძველზე.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დადგენილების პროექტით წარმოდგენილი ცვლილებით ფართოვდება ამგვარი შეზღუდვის გამომრიცხველი გარემოება, კერძოდ, შეზღუდვა არ გავრცელდება იმ შემთხვევაში თუ დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე ხდება ფუნქციური ზონის ცვლილება ან/და მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში არსებული ფუნქციური ზონის ხარვეზის (მათ შორის სატრანსპორტო ზონის) და სხვა უზუსტობის შესწორება, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი პროექტით განსაზღვრული მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა დამაზუსტებელი შეკითხვები დასვა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ტერიტორიიდან რომელ მონაკვეთს უკავშირდება წარმოდგენილი დადგენილების პროექტით გათვალისწინებული ცვლილება.

მომხსენებელმა დამატებით განმარტა, რომ დადგენილების პროექტით წარმოდგენილი საკითხი უკავშირდება ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიას.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო" წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა თავი შეიკავეს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა - ქვარა ჩართოლანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, სოფელ ნასაგურში, ნაძვების ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.14.373.01.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქალბატონმა ქვარა ჩართოლანმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში, 2018 წლის 26 იანვარს და 2018 წლის 31 მაისს, წარდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობები, ქალაქ თბილისში, სოფელ ნასაგურში, ნაძვების ქუჩა N10-ში მე-2 სართულზე მდებარე 106.52 კვ.მ ფართის მოქალაქე ციცია ჩოფლიანისთვის (პ/ნ: 27001000868) საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

მოხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის 2018 წლის 26 იანვარის და 2018 წლის 31 მაისის წერილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნევს უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემას დაინტერესებული პირისთვის.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მითითებულ იქნას შემდეგი მუხლები:

- საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" $118^1$ მუხლის მე-3 პუნქტი;
- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი;
- ამავე წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.

ამასთან, ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა დამატებით მიუთითა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ქალაქ თბილისში, სოფელ ნასაგურში, ნაძვების ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.14.373.01.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე."

აგრეთვე, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განმარტებით, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში უნდა მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად", ასევე გასწორდეს ხარვეზი და სწორი ფორმით მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 15 აგვისტოს N18.665.984 განკარგულება.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა - ქვარა ჩართოლანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, გმირ კურსანტთა ქუჩის I შესახვევი N20-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ N01.11.05.011.374) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქალბატონმა ქვარა ჩართოლანმა აღნიშნა, რომ რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „აფხაზეთის" თავმჯდომარემ ჯულიეტა პაპავამ 2018 წლის 10 აგვისტოს განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ითხოვა ქალაქ თბილისში, გმირ კურსანტთა ქუჩის I შესახვევი N20-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ მიწის ნაკვეთის ამხანაგობისთვის საკუთრებაში გადაცემა, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, იმ ვალდებულებით, რომ ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის ვადაში მიწის ნაკვეთზე განთავსდება წყალმომარაგების ქსელისთვის გათვალისწინებული წნევის გამაძლიერებელი სატუმბო სადგური და უზრუნველყოფილი იქნება მისი შემდგომი ფუნქციონირება.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი წერილით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ობიექტის განთავსება შესაძლებლად მიიჩნია შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა" და მიწის ნაკვეთის ამხანაგობისთვის საკუთრებაში გადაცემის შემთხვევაში მზადყოფნა გამოთქვა განახორციელოს შესაბამისი სამუშაოები. ასევე, დაამატა, რომ სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს წარედგინა ქ. თბილისის გლდანის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა. მისივე მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა 2018 წლის 11 ივლისს სააგენტოში წარდგენილი წერილით, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიიჩნია შერჩეულ ტერიტორიაზე საქაჩი ტუმბოს განთავსება.

ქალბატონ ქვარა ჩართოლანის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, მოსახლეობისათვის წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილად მიიჩნევს წარმოდგენილი თხოვნის დაკმაყოფილებას და მოთხოვნილი

უძრავის ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად აღნიშნული ამხანაგობისთვის გადაცემას.

აზრი გამოთქვეს:

ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა განაცხადა, რომ მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სათაური უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ქალაქ თბილისში, გმირ კურსანტთა ქუჩის I შესახვევი N20-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ N01.11.05.011.374 ) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე."

ასევე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი მიიჩნევს, რომ უნდა გასწორდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველი პუნქტში არსებული ტექნიკური ხასიათის ხარვეზი.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა - ქვარა ჩართოლანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, მე-3 მიკრორაიონის კორპუს 10ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.004.043) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში, 2018 წლის 5 იანვარს, 2018 წლის 11 იანვარს და 28 თებერვალს წარდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობები, ქალაქ თბილისში გლდანის მასივში, მე-3 მიკრორაიონის კორპუს N10ა-ში მდებარე უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხსენებლისვე მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის 2018 წლის 5 იანვარის, 2018 წლის 11 იანვარის და 28 თებერვალის წერილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნევს უძრავის ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემას დაინტერესებული პირთათვის.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა განკარგულების პროექტთან დაკავშირებით **ხმის მიცემისაგან, ხოლო,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა - **ქვარა ჩართოლანმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, **„ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: N01.16.05.032.024) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნოდარ სამხარაძისთვის (პ/ნ 01024006992) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

**ქალბატონმა ქვარა ჩართოლანმა აღნიშნა,** რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ელექტრონული განცხადებით მიმართა **ნოდარ სამხარაძემ და** ითხოვა ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა 5 (ხუთი) წლის ვადით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. **ასევე აღნიშნა,** რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერის მიხედვით, ნოდარ სამხარაძის საკუთრებაშია - ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N51-ში მდებარე ფართი.

**მომხსენებლის** მითითებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, ღია კაფეს მოწყობის საკითხს მიეცა დადებითი რეკომენდაცია, რაც გულისხმობს მხოლოდ მსუბუქი მაგიდებისა და სკამების განთავსებას, საყვავილე ქოთნებისა და ქოლგების გარეშე. **ხოლო,** სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის საფასური 2018 წლის 28 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - **2880 (ორი ათას რვაას ოთხმოცი) ლარით.**

**ქალბატონმა ქვარა ჩართოლანმა განმარტა,** რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის **ნოდარ სამხარაძისათვის** სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა და საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა **შემდეგი პირობების გათვალისწინებით:**

- მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვრა - 5 (ხუთი) წლით.

- დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრა - 2900 (ორი ათას ცხრაასი) ლარით.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათ დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სამართლებივ საფუძვლებში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა - ქვარა ჩართოლანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: N01.16.05.032.024) 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნინო სეხნიაშვილისთვის (პ/ნ: 01006000972) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქალბატონ ქვარა ჩართოლანის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა ნინო სეხნიაშვილმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა 10 (ათი) წლის ვადით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. ასევე აღნიშნა, რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერების მიხედვით, მოქალაქის საკუთრებაშია ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N16-სა და N16/4-ში არსებული ფართები.

მომხსენებელმა დაამატა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, დადებითი შეფასება მიეცა 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით განკარგვის საკითხს, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის საფასური 2018 წლის 3 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 3780 (სამი ათას შვიდას ოთხმოცი) ლარით.

მომხსენებელის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნინო სეხნიაშვილისთვის

სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა და საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრა - 3800 (სამი ათას რვაასი) ლარით.
- მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვრა - 5 (ხუთი) წლით.

აზრი გამოთქვეს:

ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა - ქვარა ჩართოლანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: N01.16.05.032.024) 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იულია იორდანიშვილისთვის (პ/ნ 01010000361) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქალბატონ ქვარა ჩართოლანის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა იულია იორდანიშვილმა და ითხოვა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა ღია კაფეს მოწყობის მიზნით. ასევე აღნიშნა, რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერის მიხედვით, მოქალაქის საკუთრებაშია ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N26-ში მდებარე ფართი.

მომხსენებელმა დაამატა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, ღია კაფეს მოწყობის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური

საბაზრო საიჯარო ქირის საფასური 2018 წლის 2 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 4 140 (ოთხი ათას ას ორმოცი) ლარით.

ქალბატონმა ქვარა ჩართოლანმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის იულია იორდანიშვილისთვის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა და საკითხის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვრა - 5 (ხუთი) წლით.
- დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრა - 4200 (ოთხი ათას ორასი) ლარით.

აზრი გამოთქვეს:

ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა - ქვარა ჩართოლანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: N01.16.05.032.024) 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ზუხრა ტატიშვილისთვის (პ/ნ 01030001988) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა ზუხრა ტატიშვილმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა 5 (ხუთი) წლის ვადით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. ასევე აღნიშნა, რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერის

მიხედვით, ზუხრა ტატიშვილის საკუთრებაშია ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N47-ში მდებარე უძრავი ქონება.

ქალბატონ ქვარა ჩართოლანის განმარტებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, ღია კაფეს მოწყობის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის საფასური 2018 წლის 2 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 1980 (ათას ცხრაას ოთხმოცი) ლარით.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის ზუხრა ტატიშვილისთვის იჯარის ფორმით გადაცემა და საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვრა - 5 (ხუთი) წლით.
- ხოლო, მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრა - 2000 (ორი ათასი) ლარით.

აზრი გამოთქვეს:

ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ამასთან, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, გასწორდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში დაშვებული ტექნიკური ხასიათის შეცდომები.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა - ქვარა ჩართოლანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, "ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №28-32-ის მიმდებარედ არსებული 2398 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.10.15.012.026) 47 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ელისთვის" (ს/კ 405243927) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით

გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, განცხადებებით მიმართა შპს „ელის" დირექტორმა და ითხოვა ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი № 28-32-ის მიმდებარედ არსებული 2398 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 47 კვ. მ. მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, შვიდი წლის ვადით, ღია კაფეს მოსაწყობად. ასევე დაამატა, რომ, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანია იჯარით, შვიდი წლის ვადით ფლობს მიმდებარე შენობაში არსებულ ფართს ამ უძრავი ქონების მესაკუთრესთან 2018 წლის 15 თებერვალს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების მიხედვით.

ქალბატონმა ქვარა ჩართოლანმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილებით, მიწის ნაკვეთზე მაგიდების და სკამების განთავსება არ საჭიროებს აღნიშნული სამსახურის მხრიდან წერილობითი დასტურის ან მშენებლობის ნებართვის გაცემას, ხოლო, თუ ღია კაფეს მოწყობით ხორციელდება I კლასს მიკუთვნებული შენობა-ნაგებობის მშენებლობა, საკითხის შემდგომი განხილვის მიზნით, შესაბამისი დოკუმენტაცია უნდა წარედგინოს აღნიშნულ უწყებას.

მომხსენებელმა მიუთითა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 47 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 13 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 6768 (ექვსი ათას შვიდას სამოცდარვა) ლარით. ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „ელისთვის" გადაცემა, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 (ხუთი) წელი;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 6800 (ექვსი ათას რვაასი) ლარი.

აზრი გამოთქვეს:

ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა - ქვარა ჩართოლანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, "ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №112-126-ის მიმდებარედ არსებული 804 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.13.08.008.033) 9 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნასიმისთვის" (ს/კ 405086507) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქალბატონ ქვარა ჩართოლანის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, განცხადებით მიმართა შპს „ნასიმის" წარმომადგენელმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №112-126-ის მიმდებარედ არსებული 804 კვ. მ. მიწის ნაკვეთიდან 9 კვ. მ. მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, ამასთან, აღნიშნა, რომ აღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №116-ში მდებარე შენობაში არსებულ უძრავ ქონებას 2020 წლის პირველ მარტამდე.

მომხსენებელმა დაამატა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, ღია კაფეს მოწყობის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 9 კვ. მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 2 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 864 (რვაას სამოცდაოთხი) ლარით.

ქალბატონმა ქვარა ჩართოლანმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „ნასიმისთვის" გადაცემა, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 2020 წლის პირველ მარტამდე;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 900 (ცხრაასი) ლარი.

აზრი გამოთქვეს:

ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო,

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა - **ქვარა ჩართოლანმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, **"ქალაქ თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე რეგისტრირებული 536 კვ.მ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.18.03.061.039) 18 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ჯულიეტა ნატროშვილისთვის (პ/ნ 01011024753) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქალბატონ ქვარა ჩართოლანის მითითებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, განცხადებით მიმართა ჯულიეტა ნატროშვილმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე რეგისტრირებული 536 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან 18 კვ. მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემა, ხუთი წლის ვადით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. ამასთან, აღნიშნა, რომ ჯულიეტა ნატროშვილის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, შარდენის ქ. №8-10/რკინის ჩიხი №1-ში არსებული ფართი.

მომხსენებლის განმარტებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, დადებითი შეფასება მიეცა 18 კვ. მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით განკარგვის საკითხს ღია კაფეს მოწყობის მიზნით, გარკვეული რეკომენდაციით. ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 18 კვ. მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 3 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - **4320** (ოთხი ათას სამას ოცი) ლარით.

ქალბატონმა ქვარა ჩართოლანმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ჯულიეტა ნატროშვილისთვის გადაცემა, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 (ხუთი) წელი;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - **4400** (ოთხი ათას ოთხასი) ლარი.

აზრი გამოთქვეს:

ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა განკარგულების პროექტთან დაკავშირებით **ხმის მიცემისაგან, ხოლო,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა - ქვარა ჩართოლანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, **„ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: N01.16.05.027.029) 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ა.ლორდისთვის“ (ს/კ 404521111) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“** ქალაქ თბილისის მუნიციპალტიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქალბატონმა ქვარა ჩართოლანმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა შპს „ა.ლორდის“ დირექტორმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული 15 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 3 (სამი) წლის ვადით. ამასთან, დაამატა რომ კომპანია იჯარით ფლობს მიმდებარე შენობაში არსებულ 28,62 კვ.მ ფართს 2020 წლის 1 იანვრამდე.

მომხსენებლის მითითებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საჭოს გადაწყვეტილებით ღია კაფეს მოწყობის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს **დასკვნით,** დაინტერესებაში არსებული 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 2 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ, განისაზღვრა **2 700 (ორი ათას შვიდასი) ლარით.**

ქალბატონმა ქვარა ჩართოლანმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის შპს „ა.ლორდისთვის“ სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა და საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2020 წლის 1 იანვრამდე.
- საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება- 2 700(ორი ათას შვიდასი) ლარი.

აზრი გამოთქვეს:

ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა - ქვარა ჩართოლანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N7-ის მიმდებარედ 221 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N 01.18.03.062.008) 11 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გალენისთვის“ (ს/კ 404497665) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქალბატონმა ქვარა ჩართოლანმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა შპს „გალენის“ დირექტორმა და ითხოვა ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა N7-ის მიმდებარედ 221 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 11,4 კვ.მ მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად. ამასთან, დაამატა, რომ კომპანია იჯარით ფლობს ქ. თბილისში, სამღებროს ქუჩა N6-ში მდებარე შენობაში არსებულ უძრავ ქონებას 2019 წლის 1 აგვისტომდე.

მომხსენებლის მითითებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით ღია კაფეს მოწყობის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 3 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ, განისაზღვრა 1 980 (ათას ცხრაას ოთხმოცი) ლარით.

ქალბატონმა ქვარა ჩართოლანმა დაამატა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის შპს „გალენისთვის“ სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა და საკითხის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 1 აგვისტომდე.

➢ ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება- 2 000(ორი ათასი) ლარი.

აზრი გამოთქვეს:

ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა - ქვარა ჩართოლანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული 21 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.16.05.032.019) 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გეორგიოს ყავასთვის“ (ს/კ 402072047) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქალბატონ ქვარა ჩართოლანის მითითებით, სსიპ -ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა შპს „გეორგიოს ყავა“ დირექტორმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული 21 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 8კვ.მ მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად. ასევე დაამატა, რომ კომპანია იჯარით ფლობს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე N18-20-ში მდებარე შენობაში არსებულ ფართს 2018 წლის 1 დეკემბრამდე ვადით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით ღია კაფეს მოწყობის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. ხოლო, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 2 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ, განისაზღვრა 1 440 (ათას ოთხას ორმოცი) ლარით.

ქალბატონმა ქვარა ჩართოლანმა დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის შპს „გეორგიოს ყავასთვის“ სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა და საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 1 დეკემბრამდე.
- საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება - 1 500(ათას ხუთასი) ლარი.

აზრი გამოთქვეს:

ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა - ქვარა ჩართოლანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. N7-ის მიმდებარედ არსებული 23 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ:N01.10.14.012.029) პირდაპირი განკარგვის წესით ვახტანგ კანდელაკისთვის (პ/ნ: 01026004919) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქალბატონ ქვარა ჩართოლანის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა ვახტანგ კანდელაკმა და ითხოვა ქ. თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი N7-ის მიმდებარედ, არსებული 23 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, 5 (ხუთი) წლის ვადით. ამასთან, დაამატა, რომ აღნიშნული პირი თანასაკუთრების უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზ.N7-ში არსებულ ფართს.

მომხსენებლის განმარტებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილებით, მიწის ნაკვეთზე მაგიდების და სკამების განთავსება არ საჭიროებს აღნიშნული სამსახურის მხრიდან წერილობითი დასტურის ან მშენებლობის ნებართვის გაცემას. ხოლო, თუ ღია კაფეს მოწყობით ხორციელდება I კლასს მიკუთვნებული შენობა-ნაგებობის მშენებლობა, საკითხის შემდგომი განხილვის მიზნით შესაბამისი დოკუმენტაცია უნდა წარედგინოს აღნიშნულ უწყებას.

ქალბატონ ქვარა ჩართოლანის მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში არსებული

მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა 2018 წლის 10 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3312 (სამი ათას სამას თორმეტი) ლარით. ხოლო, ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით ვახტანგ კანდელაკისთვის გადაცემა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 5 წლით.
- ხოლო საიჯარო ქირის წლიურ საფასური ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განისაზღვრა 3 400 (სამი ათას ოთხასი) ლარით.

აზრი გამოთქვეს:

ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ამასთან, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი მიიჩნევს, რომ სასურველია, გასწორდეს განკარგულების პირველი პუნქტში არსებული ტექნიკური ხარვეზი.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა - ქვარა ჩართოლანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „ქალაქ თბილისში, აბანოს ქ. N17-ის მიმდებარედ არსებული 31 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ:N01.18.03.063.054) პირდაპირი განკარგვის წესით ვახტანგ კანდელაკისთვის (პ/ნ: 01026004919) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქალბატონ ქვარა ჩართოლანის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა ვახტანგ კანდელაკმა და ითხოვა ქ. თბილისში, აბანოს ქ. N17-ის მიმდებარედ, არსებული 31 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, 5 (ხუთი) წლის ვადით. ამასთან, დაამატა, რომ ვახტანგ კანდელაკი თანასაკუთრების უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, აბანოს ქ. N15/6-ში არსებულ ფართს.

მომხსენებლის მითითებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით ღია კაფეს მოწყობის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება, ქოთნების განთავსების გარეშე. ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 24 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა **7440** (**შვიდი ათას ოთხას ორმოცი**) **ლარით.**

**ქალბატონმა ქვარა ჩართოლანმა დაამატა,** რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით ვახტანგ კანდელაკისთვის გადაცემა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება **5 წლით.**
- ხოლო საიჯარო ქირის წლიურ საფასური ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განისაზღვრა **7 500 (შვიდი ათას ხუთასი) ლარით.**

აზრი გამოთქვეს:

ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.**

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** თავი შეიკავა განკარგულების პროექტთან დაკავშირებით **ხმის მიცემისაგან, ხოლო,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა - ქვარა ჩართოლანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იქნა **„ქალაქ თბილისში, საბურთალოს ქ. N1-ში მდებარე 124 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ:N01.10.13.021.041) პირდაპირი განკარგვის წესით ტრისტან ღარიბაშვილისთვის (პ/ნ: 01024038167) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**ქალბატონ ქვარა ჩართოლანის განმარტებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებებით მიმართა ტრისტან ღარიბაშვილმა და ითხოვა ქ.თბილისში, საბურთალოს ქ.N1-ში მდებარე 124 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, 10 (ათი)

წლის ვადით. ასევე, დაამატა, რომ ტრისტან ღარიბაშვილის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, საბურთალოს ქ.1/ შარტავას ქ. (ყოფილი ანაგის) N2-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონება.

მომხსენებლის მითითებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სააგენტოში წარდგენილი წერილის მიხედვით, მიწის ნაკვეთზე მაგიდების და სკამების განთავსება არ საჭიროებს აღნიშნული სამსახურის მხრიდან წერილობითი დასტურის ან მშენებლობის ნებართვის გაცემას. ხოლო, თუ ღია კაფეს მოწყობით ხორციელდება I კლასს მიკუთვნებული შენობა-ნაგებობის მშენებლობა, საკითხის შემდგომი განხილვის მიზნით შესაბამისი დოკუმენტაცია უნდა წარედგინოს აღნიშნულ უწყებას.

ქალბატონმა ქვარა ჩართოლანმა დაამატა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ღირებულება 2018 წლის 11 ივლისის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 17856 (ჩვიდმეტი ათას რვაას ორმოცდათექვსმეტი) ლარით. ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით ტრისტან ღარიბაშვილისთვის გადაცემა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 5 წლით.
- საიჯარო ქირის წლიურ საფასური განისაზღვრა 17 900 (ჩვიდმეტი ათას ცხრაასი) ლარით.

აზრი გამოთქვეს:

ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა - ქვარა ჩართოლანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი საპრივატიზებო საფასურით N01.18.03.005.025 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების პირობებიანი აუქციონით პრივატიზების

საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქალბატონმა ქვარა ჩართოლანმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისში, ათონელის ქ. N27-ში მდებარე უძრავი ქონება იმ ობიექტებს შორისაა, რომლებიც თვითნებურად არის დაკავებული გარკვეულ პირთა მიერ. ეს გარემოება ხელისშემშლელი ფაქტორია ა(ა)იპ - „თბილისის განვითარების ფონდისთვის", რომელიც ვერ ახორციელებს ამ უძრავი ქონების სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

ქვარა ჩართოლანი ასევე მიუთითებს, რომ სსიპ-ქონების მართვის სააგენტოსთვის წარდგენილ წერილში აღნიშნულია, რომ შენობაში შეჭრილი მაცხოვრებლები უარს აცხადებენ შენობის დაცლაზე, შენობაში მცხოვრები 32 ოჯახის საცხოვრებელი პრობლემის მოგვარება და მათი ნორმალური საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილება დაკავშირებულია გარკვეულ ფინანსურ ხარჯებთან. მანვე დასძინა, რომ საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია განხილულ იქნეს აღნიშნული უძრავი ქონების პრივატიზების საკითხის ფარგლებში, სააუქციონო პირობად, ქონების შემძენის მიმართ ვალდებულების განსაზღვრით.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ალტერნატიული საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების საკითხზე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარედგინა ათონელის ქ. N27-ში მცხოვრები 29 პირის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, რომლითაც მზადყოფნას გამოთქვამენ შენობაში მათ მიერ დაკავებული ფართები დათმონ და დაცალონ, თუ საკუთრებაში გადაეცემათ უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში მყოფი ფართი. ასევე, დაამატა, რომ აღნიშნული პოზიციის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, სააუქციონო პირობად განისაზღვროს მათთვის ბინების გადაცემის ვალდებულება.

ქალბატონმა ქვარა ჩართოლანმა აგრეთვე მიუთითა, რომ მიზანშეწონილია, ბინებით დაკმაყოფილების საკითხში გათვალისწინებული იყოს შენობაში მცხოვრები სხვა ოჯახების წარმომადგენლებიც (ფრიდონ შარბანაშვილი - პ/ნ 01027044175, ირმა ჯიაძე - პ/ნ 53001039183, მაყვალა ბაძაღუა - პ/ნ 01004005194). მიუხედავად იმისა, რომ სააგენტოში არ იქნა წარდგენილი მათი ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები, მაყვალა ბაძაღუას შვილისთვის - ნიკოლოზ ხევსურიშვილისთვის (პ/ნ 01004005193) ცალკე ბინის გადაცემასთან დაკავშირებით სააგენტოში წარდგენილია აღნიშნულ პირთა 2018 წლის 3 და 6 აგვისტოს განცხადებები.

ქალბატონმა ქვარა ჩართოლანმა აღნიშნა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2018 წლის 20 აგვისტოს წერილით სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, განკარგოს ყოფილი სსიპ - ქ. თბილისის N68 სკოლის შენობა, რომელსაც მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

მომხსენებელმა დაამატა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების დადგენისას, ექსპერტის მიერ გათვალისწინებულ იქნა უძრავ ქონებაზე ა(ა)იპ - „თბილისის

განვითარების ფონდის“ მიერ დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯები - 1068753.86 (მილიონ სამოცდარვაათას შვიდასორმოცდაცამეტი) ლარის ოდენობით, რაც დაემატა უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას 4736157 (ოთხი მილიონ შვიდას ოცდათექვსმეტი ათას ასორმოცდაშვიდმეტი) ლარს და უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებად 2018 წლის 20 აგვისტოს მდგომარეობით განისაზღვრა 5804910 (ხუთი მილიონ რვაას ოთხი ათას ცხრაას ათი) ლარი.

მომხსენებლის მითითებით, ექსპერტიზის დასკვნაში ასევე დადგინდა 32 ოჯახისთვის გადასაცემი ე.წ. „თეთრი კარკასის“ მდგომარეობაში მყოფი 45 კვ.მ ფართის საორიენტაციო საბაზრო ღირებულება, რაც განისაზღვრა 22500 აშშ დოლარი ოდენობით. შესაბამისად, 32 ოჯახისთვის საკუთრებაში გადასაცემი ბინების საერთო ღირებულება 2018 წლის 20 აგვისტოს მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 1856000 (მილიონ რვაასორმოცდათექვსმეტი ათასი) ლარი.

ქალბატონ ქვარა ჩართოლანის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს 32 ოჯახად განხილული მაცხოვრებლების დაკმაყოფილებისთვის ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრული თანხის გამოკლებას აუქციონზე გასატანი უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებისთვის და შესაბამისად, შემცირებული თანხის განსაზღვრას მის საწყის საპრივატიზებო საფასურად. აგრეთვე დაამატა, რომ ვინაიდან, კანონმდებლობით საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები, ნებისმიერი ოდენობით საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრა განეკუთვნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის კომპეტენციას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით, შესაძლებელია აღნიშნულ ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული თანხა - 3948910 (სამი მილიონ ცხრაას ორმოცდარვა ათას ცხრაას ათი) ლარი განისაზღვროს საწყის საპრივატიზებო საფასურად.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა მომხსნებლის მისამართით დამაზუსტებელი შეკითხვები დასვა მოცემული განკარგულების პროექტით წარმოდგენილ ფინანსურ გაანგარიშებებთან დაკავშირებით. აგრეთვე, იკითხა იმ სამი ოჯახის ვინაობის შესახებ, რომელთა მიერაც არ იქნა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი.

მომხსენებელმა კვლავ განმარტა, რომ უძრავ ქონებაზე ა(ა)იპ - „თბილისის განვითარების ფონდის“ მიერ დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯები შეადგენს - 1068753.86 (მილიონ სამოცდარვაათას შვიდასორმოცდაცამეტი) ლარის ოდენობით, უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება შეადგენს 4736157 (ოთხი მილიონ შვიდას ოცდათექვსმეტი ათას ასორმოცდაშვიდმეტი) ლარს, ამდენად, უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებად 2018 წლის 20 აგვისტოს მდგომარეობით განისაზღვრა 5804910 (ხუთი მილიონ რვაას ოთხი ათას ცხრაას ათი) ლარით.

მომხსენებელმა განმეორებით აღნიშნა, რომ 32 ოჯახისთვის საკუთრებაში გადასაცემი ბინების საერთო ღირებულება 2018 წლის 20 აგვისტოს მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 1856000 (მილიონ რვაასორმოცდათექვსმეტი ათასი) ლარით. ამასთან მიუთითა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები არ იქნა წარდგენილი ფრიდონ შარბანაშვილის, ირმა ჯიაძისა და მაყვალა ბაძაღუას მიერ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა გელა ჩივიაშვილმა განაცხადა, რომ განსახილველი საკითხის მიღება მნიშვნელოვანია როგორც დაინტერესებული მხარეებისთვის, ასევე, მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურისთვისაც, იმდენად, რამდენადაც, საკითხით დაინტერესებულმა რამდენიმე პირმა განცხადებით მიმართა საქალაქო სამსახურს უსახლკარო პირის სტატუსის მინიჭების თხოვნით.

ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო“ წევრმა ელენე ოზაშვილმა თავი შეიკავეს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა - გელა ჩივიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, დადგენილების პროექტით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილებით დამტკიცებული, დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესის (დანართი №1) მე-3 მუხლის მე-4 პუნქტს ემატება „გ“ ქვეპუნქტი, სადაც მითითებულია, რომ „ამ წესის

მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემოწმების შედეგად გაკეთებული დასკვნის საფუძველზე განმახორციელებელი უფლებამოსილია მიმწოდებელს წერილობითი შეტყობინებით გაუუქმოს ქვეპროგრამაში რეგისტრაცია“.

ბატონ გელა ჩივიაშვილის განმარტებით, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმწოდებელი დაწესებულების სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებს ემატება: შემოწმების შედეგად გაკეთებული დასკვნის საფუძველზე განმახორციელებლის უფლებამოსილება - მიმწოდებელს წერილობითი შეტყობინებით გაუუქმოს ქვეპროგრამაში რეგისტრაცია. ასევე, კორექტირდება ამავე მუხლის მე-5 პუნქტი და მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

მომხსენებელმა დაამატა, რომ წარმოდგენილი პროექტით, ცენტრი უზრუნველყოფს ქვეპროგრამის მიმწოდებლის/მისი კონტრაქტორის ან/და ფილიალის ან/და მობილური გუნდის მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შემოწმებას. ხოლო, შემოწმების განხორციელების ფორმა და მექანიზმი განისაზღვრება ქვეპროგრამის განმახორციელებელთან შეთანხმებით. ასევე დაამატა, რომ ცენტრი ყოველთვიურად წარუდგენს ქვეპროგრამის განმახორციელებელს შემოწმების შედეგებს. ხოლო, მოქმედი რედაქციით, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შემოწმებას ახორციელებდა ქვეპროგრამის განმახორციელებელი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური).

აზრი გამოთქვეს:

ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ამასთან, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი მიიჩნევს, რომ პროექტის პირველ მუხლში აღნიშნული - „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №1) უნდა მიეთითოს შემდეგნაირად:

- „ა“ <u>პუნქტით</u> დამტკიცებული „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №1)“

ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილის მითითებით, „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“-ს მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, განმახორციელებელი უფლებამოსილია მიმწოდებელს წერილობითი შეტყობინებით გაუუქმოს ქვეპროგრამაში რეგისტრაცია, ამ წესით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან/და 3 თვე ზედიზედ შესრულებული სამუშაოს განმახორციელებლისათვის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, განმახორციელებლის მონიტორინგის განყოფილების მიერ მონიტორინგის შედეგად გაკეთებული დასკვნის საფუძველზე,

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით განსახორციელებელი ცვლილების თანახმად, ზემოაღნიშნული წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტს ემატება „გ“ ქვეპუნქტი და

მიმწოდებლისთვის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლად ასევე განისაზღვრება, ამ წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემოწმების შედეგად გაკეთებული დასკვნა, რომელსაც წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ატარებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ეროვნული სკრინინგ ცენტრი" (ცენტრი). ასევე მან აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია დეტალურად იქნას გაწერილი და ერთმანეთისაგან მკვეთრად გაიმიჯნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ეროვნული სკრინინგ ცენტრისა" (ცენტრის) და განმახორციელებლის მონიტორინგის განყოფილების უფლებამოსილებები.

ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა განავრცო საკითხი და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით, წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ყალიბდება სახეცვლილი რედაქციით, რაც თავისივე შინაარსით წინააღმდეგობაში მოდის „შემოწმების" არსთან, რამდენადაც, აღნიშნული პუნქტის მიხედვით, ქვეპროგრამის მიმწოდებლის/მისი კონტრაქტორის ან/და ფილიალის ან/და მობილური გუნდის მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შემოწმება უნდა უზრუნველყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ეროვნული სკრინინგ ცენტრმა, რომელიც ამავდროულად თავად წარმოადგენს მომსახურების მიმწოდებელს.

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა მიუთითა, რომ ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ვინაიდან, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, მომსახურების მიმწოდებლად და მისი საქმიანობის მაკონტროლებელ ორგანოდ გვევლინება იდენტური დაწესებულება, რაც ამავდროულად ქმნის ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის საფრთხეს, მიზანშეწონილია, დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„1. განმახორციელებელი პერიოდულად ამოწმებს ცენტრის/მისი კონტრაქტორის ან/და ფილიალის ან/და მობილური გუნდის მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობას. შემოწმებას ახორციელებს ქვეპროგრამის განმახორციელებლის შესაბამისი ქვედანაყოფი ქვე პროგრამის განმახორციელებლის დებულების შესაბამისად."

ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა ასევე დაამატა, რომ წესის მე-7 მუხლის პირველ პუნქტს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის $1^1$ პუნქტი, რომლის თანახმადაც,

„$1^1$.ცენტრი უზრუნველყოფს ქვეპროგრამის მიმწოდებლის/მისი კონტრაქტორის ან/და ფილიალის ან/და მობილური გუნდის მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შემოწმებას, გარდა ცენტრის/მისი კონტრაქტორის ან/და ფილიალის ან/და მობილური გუნდის მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობისა. შემოწმების განხორციელების ფორმა და მექანიზმი განისაზღვრება ქვეპროგრამის განმახორციელებელთან შეთანხმებით. ცენტრი ყოველთვიურად წარუდგენს ქვეპროგრამის განმახორციელებელს შემოწმების შედეგებს.".

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის მოსაზრებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ა" პუნქტით გათვალისწინებული ცვლილება,

რომლის მიხედვითაც, ამავე წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტს ემატება „გ" ქვეპუნქტი, უნდა შეიცვალოს და მასში აღნიშნული „პირველი პუნქტის" ნაცვლად უნდა მიეთითოს $1^1$პუნქტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით მითითებულ შენიშვნებს დაეთანხმა საკითხის წარმომდგენი.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა დადგენილების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს პროექტს მხარი და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი — თ. ნიბლოშვილი — თინათინ ნიბლოშვილი

სხდომის მდივანი — თ. კაკოიშვილი — თამთა კაკოიშვილი